მაგისტრატურაში რეგისტრაციისა და ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტები:

1. განცხადება რექტორის სახელზე ფაკულტეტის, სამაგისტრო პროგრამის მითითებით;
2. პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
3. აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და მისი ასლი, ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და მისი ასლი;
4. მართვის/ადმინისტრირების სფეროში არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. ფოტოსურათი 4 ცალი ზომით 3x4 სმ და CD დისკი;
6. მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
7. უნივერსიტეტის ჩარიცხვის მსურველ მაგისტრანტობის კანდიდატთათვის დადგენილი სარეგისტრაციო საფასურის გადახდის დოკუმენტი.
8. მაგისტრანტობის კანდიდატი დოკუმენტაციას წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილ პირთან.
9. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ პირს უბრუნდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, რეგისტრირდება მაგისტრანტობის კანდიდატად და უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდაში/გამოცდებში/გასაუბრებაში.

დამატებითი ინფორმაცია

სტუ-ის ერთწლიან სამაგისტრო პროგრამებზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აქვს არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში.

- აპლიკანტმა უნდა გაიაროს გასაუბრება როგორც სპეციალობაში დარგობრივი კომისიასთან (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად) ასევე უცხო ენაში შესაბამის კომისიასთან (იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტმა ვერ წარმოადგინა უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საჭირო დოკუმენტი)
- ინფორმაციას გასაუბრების თარიღის და ადგილის შესახებ აპლიკანტები მიიღებენ ფაკულტეტებიდან განაცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე
- გასაუბრებისას მაგისტრანტობის კანდიდატის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
  - ა) მოტივირებულობა და პრეზენტაბელურობა - 1-3 ქულა;
  - ბ) პროფესიული ცოდნის დონე - 1-5 ქულა;

გ) სამუშაო გამოცდილება - 1-2 ქულა.

- მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული სამაგისტრო გასაუბრების შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- სტუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება სტუ-სა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამისათვის დადგენილ ვადაში მაგისტრანტობის კანდიდატმა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარმოადგინოს; კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომის დედანი, უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განთლების შემთხვევაში, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული დედანი და განათლების აღიარების დოკუმენტი, ფოტოსურათი - 4 ცალი ზომით 3x4 სმ და CD დისკი; სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. საფინანსო ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის - 2250 ლარის მინიმუმ ნახევრის (1125 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- იმ პირების მაგისტრატურაში ჩარიცხვის თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები უნივერსიტეტის მიერ, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადაში გამოიცემა რექტორის ბრძანება და უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.